გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1888 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



## „ივერია"

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

**ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ქართული თეატრი

სამშაბათს, 20 ქრისტიშობისთვეს

ბ-ნ ალნიაშვილის ქართულ ხოროსაგან

წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი ქართული ფეერია

## „ტარიელი"

3 მოქმედებად და 8 სურათად

ბ-ნ ალექსანდრე ივანეს ძე ბერიძისა

და სხვა ქართველ ახალგაზდობის დახმარებით.

სრული შემოსავალი დანიშნულია ბ-ნ ალნიაშვილის მიერ ახლად დაარსებულ ქართულ ორკესტრის სასარგებლოდ.

| | |
|---|---|
| მოქმედება I. სურ. 1. | სურ. 5. |
| **ქაჯის მეფის სასახლე.** | **ზღვათა მეფის საბრძანებელში.** |
| სურ. 2. | მოქმედება III. სურ 6. |
| **მოგლენა.** | **თათბირი (რჩევა).** |
| მოქმედება II. სურ. 3. | სურ. 7. |
| **მისირეთში (ეგვიპტეს).** | **ომი დევკაცებთან.** |
| სურ. 4. | სურ. 8. |
| **ხატაეთს (ჩინეთში).** | **გზად.** |

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე—დასასრული $11^1/_2$.

ცალკე ლიბრეტტო ღირს ერთი აბაზი.

---

წელიწადი II. წელიწადი II.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო გ ა ზ ე თ ი

## მეურნე

**გამოდის კვირაში ერთხელ**

გაზეთი „მეურნე" მომავალ 1889 წ. გამოიცემა იმავე პროგრამით და სივრცით, როგორც ამ 1888 წ.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი

| თბილისში | | თბილისს გარეშე | |
|---|---|---|---|
| 1 წლის — — | 4 მან. | 1 წლისა — — | 5 მან. |
| ½ — — — | 2 მან. 50 კ. | ½ — — — | 3 მან. |

ცალკე № — 15 კაპ.

განცხადებანი მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ, და 20 კაპ. პირველ გვერდზედ. გ ა ზ ე თ ი ს დ ა კ ვ ე თ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა: კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში, ჩარკვიანის მაღაზიაში და თვით რედაქციაში: რეუტის ქუჩა, სახლი № 10.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიმართონ თვით რედაქციას შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію „Мэурнэ".


---

ტფილისი, 19 დეკემბერი

უმაღლესად დამტკიცებულია და კანონად მიღებული, რომ სხვათა შორის ამიერ-კავკასიაშიაც საადგილ-მამულო გადასახადი უნდა დაიდვას. გადასახადის გამოართმევა უკვე ნაბძანებია და უნდა გამოერთვას 1887 წლიდამ დაწყებული, ასე რომ დღეს ეს გვარი გადასახადი ორის წლისა ერთად არის მოსაკრები. ეხლა ლაპარაკი იმაზეა მარტო, — ვის რამდენი შეხვდება გადასახდელად და დღეს აქაურს მთავრობას ცალკე კომიტეტი ჰყავს გამორჩეული, რომელიც დავალებულია აღრიცხოს ვის რამდენი უნდა გამოერთვას ადგილ-მამულის კვალობაზედ.

აქაურმა მთავრობამ ამ ორის წლის განმავლობაში არა ერთხელ აცნობა ადგილ-მამულის პატრონებს, რომ ცნობა მოგვეცით — ვის რამდენი მიწა გაქვთო და თუ არ მოგვცემთ, ჩვენ თითონ მოვკრებთო და ბოლოს თუ ვისმე მეტი მამული აღმოუჩნდა, იმ მეტისა ერთი-ორად გადახდებაო. რა თქმა უნდა, ჩვენს ტფილისის გუბერნიაში ყურიც არავინ არ შეიბერტყა თითქმის და თითქმის არავინ არ აასრულა სარჩიელი მთავრობისა, იმათაც-კი, ვისაც ადგილ-მამული დიდი ხანია გამიჯნული აქვს და, მაშასადამე, ადვილად შეეძლოთ ნამდვილი ეჩვენებინათ.

რაკი მთავრობამ შეამცნია ამისთანა დაუდევრობა აქაურ მემამულეთა, ბძანება მისცა მაზრის უფროსებს შეეკრიბათ თავ-თავის მაზრაში ცნობები მასზედ თუ, — ვის რამდენი მიწა აქვს მაზრაში. მაზრის უფროსებს შეძლებისამებრ შეუკრებიათ ეს ცნობები და წარუდგენიათ საგუბერნიო სამართველოში სიები. დღეს მთავრობა იძულებულია ამ სიებს დაემყაროს და ამ სიებში მოხსენებულ მიწების რაოდენობაზედ გაანაწილოს გადასახადი. ვიდრე მოვიხსენებდეთ ამ სიების ძალით დღიურს რამდენი ჰხვდება გადასახადი, საჭიროა ვიცოდეთ სულ გადასახადი რამდენია, რა ანგარიშით არის ეს გადასახადი აღრიცხული და ვინ არის ამ გადასახადისაგან ამოშვებული და ვინ არა. ჩვენდა სამწუხაროდ ამისი შესახები ცნობები მარტო ტფილისის გუბერნიისა გვაქვს და ამიტომაც მარტო ამ გუბერნიის თაობაზედ ვილაპარაკებთ.

ტფილისის გუბერნიაზედ აღრიცხულია საადგილ-მამულო გადასახადი წელიწადში ორი ათას ხუთასი თუმანზე ცოტა მეტი. რადგანაც ეს გადასახადი 1887 წლიდამ ითვლება ტფილისის გუბერნიაზედ, ამიტომაც წელს ორის წლის გადასახადი ერთად მოეთხოვება ამ გუბერნიას, ესე იგი ხუთი ათასი თუმანი და ცოტა მეტი. ამ აღრიცხვის საფუძვლად მიღებულია კომლზედ ხუთი მანეთი და ჩვიდმეტი შაური, ესე იგი, ის ფული, რომელიც თითოეულ კომლს, ხარჯის მხდელისას, ერთმევა ეხლა ფოსტის ფულად. რამდენიც ადგილ-მამულის მეპატრონეთა კომლია, იმდენჯერ რომ აიღოთ ეს ხუთი მანეთი და ჩვიდმეტი შაური, გამოვა ორი ათას ხუთასი თუმანი და ცოტა მეტი. სულ ოთხი ათას ოთხას ორმოც-და-ათი, თუ ცოტა მეტ-ნაკლებით, კომლია თურმე იმისთანა მემამულე, რომელთაც უნდა იხადონ საადგილ-მამულო გადასახადი. ია აქედამ არის გამოყვანილი ორი ათას ხუთასი თუმანი გადასახადი.

ეს ფული უნდა განაწილდეს ადგილ-მამულის რაოდენობის კვალობაზედ. მაზრის უფროსთაგან წარმოდგენილ სიებისაგან სჩანს იმოდენა ადგილ-მამული, რომ თითო დღიურს ჰხვდება ამ ორი ათას ხუთას თუმნიდამ ერთი კაპეიკი და ხუთი მერვედი, ანუ დესეტინას $3^1/_4$ კაპეიკი. ამ მამულის პატრონებმა უნდა იხადონ ყოველ სახმარ და გამოსაყენ დესეტინაზედ $3^1/_4$ კაპეიკი ყოველ წლივ. ეს გადასახადი დადებულია მხოლოდ იმისთანა მამულის პატრონებზედ, რომელნიც კომლეულს ფოსტის ფულს არ იხდიან და ამის გამო გლეხ-კაცობა სრულიად თავისუფალია ამ გადასახადისაგან, თუნდა საკუთრებაც ჰქონდეს. რადგანაც ეხლა ორის წლისა ერთად უნდა გამოერთვას ეს გადასახადი, ამიტომაც ამ ერთს წელიწადს თითო დესეტინას შეხვდება $6^1/_2$ კაპეიკი.

ცნობილია, რომ მაზრის უფროსთაგან წარმოდგენილი სიები მართალზედ ძალიან შორს არიან და მიწები ბევრით ნაკლებია ნაჩვენები იმაზედ, რაც მართლა არის. ამბობენ, სულ ცოტა რომ ვსთქვათო, ერთი მესამედი მამულები აკლია ამ სიებსაო. ეს ერთი მესამედი თითქმის 300,000 დესეტინამდე ადის თურმე. ამ დაკლებაში ვერც მაზრის უფროსებს ეთქმის საყვედური, რადგანაც არავითარი ღონის-ძიება არა აქვთ ამ შემთხვევაში მართალი აღმოაჩინონ და ვერც მთავრობას დავემდურებით, რომ ამისთანა დანაკლისით შემდგარს სიებს იძულებულია დაემყაროს. ბრალი თითონ მემამულეებს ედებათ. ჩვენი მემამულენი რომ ტყუილს იმედებს არ აჰყოლოდნენ და ყველას წარმოედგინა თავისის ადგილ-მამულის შესახები ცნობები თავის დროზედ, როცა მთავრობამ მოიკითხა, მაშინ ორ გვარს ზიანს გადარჩებოდნენ. ჯერ იმას გადარჩებოდნენ, რომ 300,000 დესეტინის გადასახადი არ დააწვებოდა დანარჩენს ორ მესამედს ადგილ-მამულისას და მემამულე დესეტინაზედ $3^1/_4$ კაპ. მაგიერ გადიხდიდა მარტო $2^1/_4$ კაპეიკსა და ცოტა მეტ-ნაკლებსა, და მეორე იმას, რომ ეგ გადასახადისათვის არ-გამოჩენილი 300,000 დესეტინა არ გადაიხდიდა ერთი-ორად გადასახადს, იმიტომ-რომ ვისაც არ გამოუჩენია და შეაჩნდება ეგ არ-გამოჩენა, იმან გადასახადი ერთი-ორად უნდა ჰზღოს იმდენის ხნისა, რამდენ წელსაც გამოუჩენელი იქნება.

იტყვიან, საიდამ მიგვეწვდია მთავრობისათვის მოთხოვნილი ცნობები, რომ ჩვენც არ ვიცით რამდენი მიწა და მამული გვაქვსო. თუ გული ჰგულობს, ქადა ორის ხელით იჭმევაო. ჯერ ერთი ეს, რომ იმათაც არ უცნობებიათ მთავრობისათვის, ვისაც დიდი ხანია უკვე გამიჯნული აქვს ადგილ-მამული. ამათ გასამართლებელი არა აქვთრა, გარდა დაუდევრობისა და თავის თავის უპატრონობისა. ბევრი კიდევ იმისთანაა, რომელთაც ან ნასყიდობით, ან ანდერძით, ან სამართლით, ან მემკვიდრეობით დამტკიცებული აქვთ მამული და ამათ არ შეიძლება სიგელში არა ჰქონდეთ მოხსენებული რაოდენობა მამულისა, თუ ნამდვილი არა, ვარაუდობით მაინც. ესეც საკმარისი იყო მთავრობისათვის, რომ ეცნობებინათ. ბევრი კიდევ იმისთანაა, რომელთაც თუმცა გამიჯნული არა აქვთ მამულები, ან რომელისამე სიგელით შეძინებული, მაგრამ იციან დაახლოვებული მართალი თავისის მამულის რაოდენობისა. მაშასადამე, არც ამ ჯურის მემამულენი არიან მოკლებულნი ღონის-ძიებას აცნობონ მთავრობას რამდენი ეგულებათ თავისი მამული.

მართალია, ყველაზედ ცუდ ყოფაში არიან ისინი, ვინც არ იცის სად რა და რამდენი აქვს. მაგრამ ამათაც რომ იმდენი ეჩვენებინათ, რაც ეგულებათ, ჩვენ იმედი გვაქვს, მთავრობა ბოლოს შეიწყნარებდა, თუ მეტი აღმოუჩნდებოდა, რაკი დარწმუნდებოდა, რომ ამ შემთხვევაში შეუცდომელად ჩვენება შეუძლებელია. ძნელია მარტო იმათი მდგომარეობა, ვისაც დღეს მამული სადავოდ აქვს გახდომილი და საცა მამულის კუთვნილობის საბუთად მარტო მფლობელობაა და, მაშასადამე, საცა სადავოდ არის გახდარი თვით მფლობელობა და ხმარება მამულისა. სხვა გვარ სადავო მამულზედ ადვილად გასარჩევია ვინ უნდა იხადოს საადგილ-მამულო გადასახადი, იმიტომ-რომ უნდა იხადოს იმან, ვინცა ჰხმარობს და ჰსარგებლობს მამულს. ხოლო საცა თვითონ ხმარება და სარგებლობა მამულისა სადავოა, საცა ერთიც იძახის, მე ვხმარობ! და ვსარგებლობო და მეორეც და საცა სამართალი ამის გამოძიებაშია, აქ მინამ დავაა, იმ ხნის გადასახადი ვინ უნდა იხადოს?

ჯერ არ ვიცით როგორ მოექცევა მთავრობა ამ გვარს მამულს ამ შემთხვევაში, ხოლო, ჩვენის ფიქრით, ეს გვარი მამული ჯერ ხანად არ უნდა იხდიდეს გადასახადსა და როცა მამული დაეკუთნება ვისმე, მაშინ იმან უნდა ჰზღოს გადასახადი მთელი იმ წლებისა, ვიდრე დავა სწარმოებდა. ეს სამართლიანი იქნებოდა, ჯერ იმიტომ-რომ მომგები მამულისა მის პატრონად აღმოჩნდა სამართლით და მეორე, იმიტომ-რომ თვითონ ამტკიცებდა მე ვხმარობდიო.

ყოველივე ეს საჭიროდ დავინახეთ გვეცნობებინა ყველასათვის და

გვერჩია: მინამ გადასახადის მოკრებას შეუდგებოდნენ, რაც შეიძლება მალე აცნობონ საგუბერნიო მართველობას რაოდენობა ადგილ-მამულისა, თორემ მერე ზიანის მეტს არასა ჰნახვენ. ნურავინ ნუ იფიქრებს და ნუ ინუგეშებს, რომ ამ გადასახადისაგან როგორმე თავს იხსნის. გადასახადი უკვე არსებობს, რადგანაც უმაღლესად დამტკიცებულია და ასე თუ ისე უსათუოდ გამოერთმევა ყველას. ისა სჯობს ეხლავ მოვუაროთ ჩვენს თავს, რაც შეიძლება ნამდვილი ცნობები ვაუწყოთ მთავრობას, თორემ მერე ბევრს ვინანებთ და გვიან-ღა იქნება. საცა სხვა გზა არ არის, სჯობია ვარაუდობით მაინც აჩვენონ. ვარაუდით ნაჩვენებში შეცდომას, იმედია, შეიწყნარებს მთავრობა და სულ არჩვენება-კი შეუწყნარებელი იქმნება და ერთი ორად საზღაური გაუხდება მამულის პატრონსა.

## ახალი ამბავი

⁂ დიდი ხანია ჩვენს ტფილისში არავინ მოუკლათ და ამიტომ ავაზაკთ კვლავ თავი იჩინეს. კვირა დილით, 18 დეკემბერს, დილის ოთხს საათზე, ავლაბარში, ყაზაროვის ქუჩაზედ, პოლიციელმა მოკლული ჰნახა სოლო არაქელოვი. მკვდარი ნაბადში გახვეული ყოფილა, ჯიბეები გადმობრუნებული ჰქონია და ბულვარზედ დებულა სწორედ კასუმოვის სახლის ბალკონ წინ, იმ სახლის წინ, სადაც არაქელოვი ჩამომხტარიყო თავისს მოხუც დისწულთან, რომელსაც გათხოვილი ქალი თავისთან უდგა. არაქელოვი ქალაქელია, მაგრამ ასურეთში საწერილმანოს და სასმელების დუქანი ჰქონია და იქ უცხოვრია. ერთი კვირაა რაც ჩამოსულა სოლო და რიყზედ უქეიფნია, ნასვამს ათ თუმნიანები უსროლია აქეთ-იქით. მოკლულს საფეთქელში ჩლუნგი რაღაცა აქვს დაკრული და ნაბადზედ სრულიად არ ეტყობა სისხლი, ერთი წვეთი მაინც. საკვირველი უფრო ის არის, რომ სულ ხუთის თუ ათის წუთის წინად იმ ბულვარზე პოლიციელს გაუვლია და არავინ უნახავს. გამოვლისას-კი ნაბადში გახვეული მკვდარი კაცი დახვედრია. არ იციან, საიდგან მოიტანეს ასე ანაზდეულად, თითქოს ციდგან ჩამოეშვათ ციმციმ და დაედოთო. იმ ალაგას მაშინვე მივიდა გამომძიებელიც და მეშვიდე განყოფილების პოლიციაც. მოკლულს კარგა ძალი ფული ჰქონია ჯიბეში. ამ საქმის გამოძიება და ბრალდებულთა შეპყრობა ბ-ნის პოლიცმეისტერის საგანგებო განკარგულებით მინდობილი აქვს ცნობილს ბოქაულს სვიმონოვს.

⁂ 18 ამ თთვისას ტფილისში გარდაიცვალა მთელის ქალაქის კარგად ნაცნობი ექიმი იოსებ ათანასეს ძე გორალევიჩი.

⁂ წელს ზამთარი ადრე გვეწვია და ძლიერიც არის. თოვლმა გზები შეჰკრა და ამიტომ დღეს რუსეთის ფოსტა არ მოსულა ტფილისში და რკინის გზა იმერეთისაკენაც შეუკრავს თოვლს.

⁂ 17 ამ თთვისას ტფილისის „სობრანიაში“ გამართული იყო სალიტერატურო და სამუსიკო სალამო «ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ. ამ სალამოზე დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო და ძლიერ კმაყოფილიც დარჩა; ეტყობოდა, რომ როგორც სალამოს გამგებელნი, ისე მეკონცერტენი მოწადინებულნი იყვნენ დამსწრე საზოგადოება დაეტკბოთ და ესიამოვნებინათ. მართლადაც, საზოგადოებამ უხვის ტაშის კვრით დაასაჩუქრა ყველა მეკონცერტენი და რამდენჯერმე გამოიწვია თითოეული მათგანი. კონცერტს შემდეგ გაჰმართეს ტანცები. შუაღამე გადასული იყო, როცა კმაყოფილი და ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა. ჯერ ნამდვილად არ ვიცით, თუ რამდენი შემოსავალი დარჩა ამ კონცერტიდგან „წერა-კითხვის საზოგადოებას“, ხოლო ცხადია, რომ ეს შემოსავალი მცირე არ უნდა იყოს.

⁂ სომხების გაზეთის „არძაგანკის“ რედაქტორს, ბ-ნს ა. ა. იოანესიანს, ამ დღეებში დიდი უბედურება სწვევია: ბ-ნს იოანესიანს მოჰკვდომია ჩუტყვავილისაგან ორი ბავშვი.

⁂ **ყორნისის ხეობიდგან** (გორის მაზრაშია) შემდეგს ახირებულს ამბავს გვწერენ: ჩვენში გავრცელდა ხმა, ვითომ ერთს კაცს ეპოვოს მარმარილოს ქვა, რომელზედაც მეფე ერეკლეს ზედ-წარწერაა. ეს ზედ-წარწერაო, ამბობენ, ჰმოწმობსო, რომ საფალავანდიშვილო, სამაჩაბლო, სახერხეულიძეო და სხვა მებატონეების მამულები ეკკლესიისა იყოს, სახელდობრ ღვთის-მშობლის ხატისაო. ამ ახირებულმა ხმამ მთელი ხიზანი აალაპარაკა. ვინც ეს ხმა გაავრცელა, ის კაცი ქვას არავის უჩვენებს, მაგრამ ხალხს მაინც ძალიანა სჯერა იმისი ნაამბობი.

⁂ **კოშიტნარი** (რკინის გზის სადგური): ჩვენს კოპიტნარში შვიდი-რვა დუქანია, ანუ, უკეთ ვსთქვათ, საწყობები, საცა ვაჭრები აგროვებენ ადგილობრივად ნაყიდს ჭირნახულს—სიმინდს. ამ დღეებში ერთს მედუქნეს, გიორგი კვერნაძეს, ღამის 12 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა შიგ დუქანში, საცა ათას ხუთასამდე ფუთი სიმინდი ეწყო. ამ უბედურების დროს თვით პატრონი შინ არ იყო და თუ არ რკინის გზის მოხელეები, დუქანი სიმინდითურთ სულ ერთიანად გადაიწვებოდა. შესაძლოა, რომ ცეცხლი სხვა დუქნებსაც მოსდებოდა. ამ ამბავმა ძალიან დაგვაფიქრა და იმის ზრუნვას შევუდექით, რომ სამერმისოდ მაინც თავიდგან ავიცილოთ ამ გვარი უბედურება. ფარცხანაყანევის მამასახლისმა და იმისმა მწერალმა მათე ფხაკაძემ, რომელთაც ექვემდებარებათ კოპიტნარი, შეჰკრიბეს საზოგადოება, ვილაპარაკეთ იმაზე, თუ რა საშუალება ვიხმაროთ ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ და გადავსწყვიტეთ ყარაულის დაქირავება. თითო დუქანზე თთვეში დავნიშნეთ მანეთ ნახევარი. ყარაულის ამორჩევა მივანდეთ მამასახლისს.

⁂ **კახეთიდგან** გვწერენ, რომ აქ კარგა ხანია ასეთი სუსხიანი ზამთარი და ამოდენა თოვლი არ გვინახავსო; თოვლი ერთ არშინზედ დასდო.

⁂ 18 დეკემბერს, პოლიციის მე-10 განყოფილებაში, მიხეილის ქუჩაზედ, იპოვნეს მიგდებული ყმაწვილი ქალი, სულ შვიდის დღისა. ყმაწვილი გაგზავნილ იქმნა საბების ინსტიტუტში.

⁂ 18 დეკემბრის ღამესვე პოლიციელთ ტფილისის მივარდნილს ადგილებში დააპატიმრეს 118 კაცი, რომელთაც არავითარიმე პასპორტი არა აქვსთ და არც არავითარს საქმესა და ხელობას ადგიან.

## მართალი ამბავი
ანუ
## ბუზის სპილოდ გარდაქმნა.

(პროვინციალური სცენა 7 სურათად)

### I
დილა

მარიამი (თავისს მეგობარს ქალს თეკლეს ელაპარაკება). ადამიანო, რას დაუღონებიხარ აგრე?

თეკლე. ქმარს წავეჩხუბე.

მარიამი. მართლა? რაო, რისთვისაო?

თეკლე. რაღა რისთვის, ქა, ქუჩაში აღარ გამატარა, ეჭვიანობს, ნურავის ელაპარაკები, ხმას ნურავის გასცემო.

### II
შუადღე

მარიამი (სამხარსა სჭამს თავისს ნაცნობ ფეფელასთან). გაიგე, ქალო, ახალი ამბავი?

ფეფელა. რა ახალი ამბავი?

მარიამი. რაღა რა, თეკლე ქმარს წასჩხუბებია.

ფეფელა. მართლა? რაზე, ადამიანო?

მარიამი. ქმარს გაუგია, რომ საყვარელი ჰყავსო!

ფეფელა. ეუი, ეუი, დამიდგა თვალები!..

### III
სადილზედ

ფეფელა (თავისს ნაცნობს ნინოს ელაპარაკება). ნინო, ახალი ამბავი შეიტყე?

ნინო. რა ამბავი, მიამბე, შენ გენაცვალები.

ფეფელა. მაშ თეკლესი და იმის ქმრის ჩხუბი არ გაგიგონია.

ნინო. არა. განა ჩხუბი მოსვლიათ?

ფეფელა. ძალიან, ძალიან.

ნინო. რაზე მერე, ქალო?

ფეფელა. რაღა რაზე, ქა, შინ რომ დაბრუნებულა იგულ-მკვდრის შვილი, თავის ცოლისთვის ვიღასთანაც მიუსწრია, კაცისთვის უცემნია და ცოლიკი გაულანძღავს და გაუთრევია.

ნინო. და, და, და, ქა, ეგ რა მითხარი!.. ვაი ნამუსო და პირის წყალო!..

### IV
საღამო

ნინო (თავისს მძახალ ნატოს ემასლაათება). მძახალო, იცი რა ამბავი მომხდარა!

ნატო. რა, რა?

ნინო. თეკლესათვის ქმარს უცემნია.

ნატო. ვუი, გენაცვალე, რათა?

ნინო. თურმე მეტად უნამუსო დედაკაცია, ორი საყვარელი ჰყოლია ერთად!.. ქმარს შეუსწრია და...

ნატო. აი უკი-კი გამიხსნია, აჰაი!

### V
მეორე დღის დილა

ნატო (თავისს მეზობელს სოფოს). შენა, დედაკაცო, გაიგე თეკლეს ამბავი?

სოფიო. არა, რა იყო?

ნატო. საშინელი ამბავია! ქვეყანაზედ თავზედ ლაფის დასხმა თუ გინდა, ეს არის, აი! წარმოიდგინე, თეკლე თავისს ორს საყვარელთანა მჯდარა და ტკბილს მასლაათში ყოფილა. ამ დროს ქმარს შეუსწრია...

სოფიო. ქა, ქა, ქა! მერე?

ნატო. რაღა მერე, ი კაცები კინწის კვრის გაუყრია გარეთ და ცოლსკი დანით გამოსდგომია, მოკლა სდომებია...

სოფიო. ეუი, გენაცვალე, ახლა ქვეყანაში თავი როგორღა უნდა გამოჰყოს!..

### VI
შუადღე

სოფიო (თავისს თაყვანის-მცემელს ჭორიკანაძეს ელაპარაკება). გაიგეთ თეკლესი და იმის ქმრის ამბავი?

ჭორიკანაძე. არაფერი? განა დაჰმართებიათ რამე?

სოფიო. დამართებიათ და უარესიც მოსვლიათ. წარმოიდგინე, თეკლესათვის ქმარს ოთხ საყვარელთან შეუსწრია, ოთხთან!!!..

ჭორიკანაძე. ნუ თუ მართლა?

---

# ფელეტონი

## პირველი სიყვარული
მთავრის ასულისა.

(ნათარგმნი)

—სწორედ გითხრა, ძალიან, ძალიან სასიამოვნო ამბავია! არა, ამ გახურებულს მუშაობაში რა მესტუმრება! წამოიძახა მამაჩემმა და გაჯავრებულმა იწყო ოთახში სიარული.

—არა, რა დროს მოსვლა იყო! სახლი არეულ-დარეულია, საცვალი მთლად გასარეცხად მივეცი დედაკაცს! ალაგიც რომ არა გვაქვს, მერე სად უნდა დავაწვინოთ მთავრის ასული? დაუმატა დედაჩემმა. მე შორი-ახლო ვიდექ და ჩავსცქეროდი დეპეშას. ვეღარ მოვითმინე და მივმართე დედას.

—განა ისეთი რა შესაწუხებელია ჩემის მეგობრის მოსვლა? მართალია, იგი მთავრის ასულია, მაგრამ ისეთივე კოხტა. პრუწია და აზიზია, როგორც მე...

—რასა ჰბოდავ, შვილო? შემომიტია მამამ: არა, მე ძალიან დავაშავე, რომ შენ სასწავლებელში მიგაბარე! ჩემი დები და დედა თუ სასწავლებელში არ იყვნენ, მე ვიცი ურიგო ოჯახის პატრონები გამოდგნენ აი! არა, დრო გამოიცვალა და ეს არის! ეხლა დიდი თუ პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, ყველა სასწავლებლისაკენ მიისწრაფება და შენსავით არა თავისს შესაფერ ხალხს უმეგობრდება.

—აბა, მაგას რად ამბობ! განა სლიზა დამნაშავეა, რომ მთავრის ასულმა შეიყვარა და დაიმეგობრა? ამ სიტყვებით დედამ ცოტად გული მომილბო, ეტყობოდა ჩემს მხარეს იჭერდა. მამამ პასუხი არ გასცა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და მომიახლოვდა.

—მომეცი წავიკითხო, რას იწერება შენი მეგობარი. მე გადავეცი დეპეშა.

„როგორც იყო მოვშორდი სულის შემხუთავს სასწავლებლის კედლებს. ველირსე თავისუფლებასა და მოვისწრაფი შენსკენ. გერტრუდა“. მამამ წაიკითხა დეპეშა და დაფიქრდა. მცირე ფიქრს შემდეგ მიუბრუნდა დედას და უთხრა:

—მატარებელი მოდის საღამოს 6 საათზე. აბა, დაეშურენით და როგორც იყოს მიალაგ-მოალაგეთ აქაურობა. მართალია, ამ დროს სტუმრობა, მერე მთავრის ასულისა, არაფრად სასიამოვნოა, მაგრამ რაკი ეს აუცილებელია, ჩვენც შეძლებისადა გვარად უნდა დავხვდეთ. ჩემი სამუშაო ოთახი მოუმზადეთ საწოლად; იქიდგან კარგი გადასახედავია. მეც ეხლავე ვუბძანებ ბიჭს გარეცხოს ეტლი და საღამოს 6 საათისათვის რკინის გზის სადგურზე დაახვედროს გერტრუდას. სთქვა ეს და მამა საჩქაროდ გავიდა ოთახიდგან.

—აი, ასეთია, შვილო, მამაშენი! ჯერ მოჰყვება ჯავრობას, აიკლებს აქაურობას და შემდეგ, რაკი დამშვიდდება, მზად არის ყველაფერი აღასრულოს. მაგრამ ნუღარ ვკარგავთ დროს, წავიდეთ, მივალაგ-მოვალაგოთ ოთახები.

—განა, დედი, გერტრუდა ჩემს ოთახში-კი ვერ მოთავსდება?

—არა, შვილო, როგორც გეუბნებიან, შენც ისე მოიქეცი.

მე და დედაჩემი გაფაციცებით შევუდექით ოთახების მილაგ-მოლაგებას. საღამო ხანზე სწორედ ველარ ვსცნობდი ჩვენს ოთახებს. მომეტებულად კოხტად და კოპწიად მოვრთეთ გერტრუდას საწოლი ოთახი. ეტლი წავიდა თუ არა სადგურისაკენ, დედამ აივანზე გააშლევინა სუფრა. ღმერთო ჩემო! რა საჭმელები არ გააჩინა დედაჩემმა სუფრაზე. მერე რისთვის ააჭრელეს ესე სუფრა! ჩემის გერტრუდასათვის?.. უცებ შემომესმა ზარის ხმა. მე საჩქაროდ ჩავირბინე ქვევით, ის იყო ეტლიც შემოვიდა ეზოში, მივარდი მაშინადვე ეტლს, მაგრამ წელ-მოწყვეტილი გამოვბრუნდი უკან. მსახურმა მითხრა, რომ ამ საღამოს თქვენი სტუმარი არ მოსულაო. ჩემი მშობლები უკვე მოსხდომოდნენ სუფრას, ვუთხარ ბიჭის პასუხი და მეც მივუჯექ. მსახურმა მოგვართვა წვნიანი. ამოვიღე თუ არა ერთი კოვზი, ბაღჩიდგან შემომესმა ძახილი: «ელიზა, ელიზა!» მე ვიცანი ხმა და უნებლიედ დამვარდა კოვზი და გავექანე ბაღჩისაკენ. რა საჭიროა ვსთქვა, თუ რა სიხარულითა და სიამოვნებით მივესალმენით მე და გერტრუდა ერთმანეთს? სიცილ-ხარხარით ამოვედი აივანზე, გავაცან ჩემი მშობლები და ჩემსა და დედაჩემს შუა დავსვი სტუმარი. სადილმა მეტად მხიარულად გაიარა. გერტრუდამ ქვევალაპარაკით საშინლად შეაყვარა თავი ჩემს მშობლებს. სადილის გათავებისთანავე მე და გერტრუდა შევედით მისთვის საგანგებოდ მომზადებულს ოთახში. ბარგის მოსატანად სადგურზე გავგზავნე ბიჭი. გერტრუდას საშინლად მოეწონა ოთახი.

—აი, ამიტომ მიყვარხარ, ჩემო ელიზა, რომ ასე კოხტად იცი შენის თახოის მოწყობა!

—ეს ოთახი შენთვის მოვამზადე, გერტრუდა!

—როგორ, განა ეს ოთახი შენი საწოლი ოთახი არ არის?

—არა, ამის გვერდზე მეორე ოთახია ჩემი საწოლი.

—განა ჩვენ ცალ-ცალკე, სხვა-და-სხვა ოთახში უნდა ვიყვენთ? ელიზა, როგორ არა გრცხვენიან! შენ ხომ იცი, მარტო შენის გულისათვის მოვედი აქა. ძალიან მაწყენინებ, თუ ეხლავ ჩემს საწოლს შენს ოთახში არ გაატანინებ.

—თუ-კი გსურს, ეხლავ შეგისრულებ მაგ სურვილს. მაშინადვე დავუძახე მოსამსახურეს და ჩემს ოთახში გადავატანინე გერტრუდას საწოლი. ჩვენც უკან გავყევით და გერტრუდას საწოლი ჩემის საწოლის გვერდით დავდგით.

—აი, ეხლა-კი მთლად შენი ვარ!

სოფიო. მაშ! მაშინვე ბიჭები მოუგზავნიათ, ოთხივე კარგად გაუტყეპნია და გაურეკიათ. ცოლს-კი დახით გამოსტყდენია, მოკლე სცემია!

ჭორიკანაძე. საშინელი ამბავია, საშინელი!

VII

სადამოზედ კლუბში

ჭორიკანაძე. (თავ-მოყრილ ხალხს). ყმაწვილებო, შეიტყეთ თქვენ ამბავი.

ყველანი. რაო, რა ამბავია? გვითხარით, გვითხარით?

ჭორიკანაძე. საშინელი ტრაგედია, საზარელი, ისეთი ამბავი მომხდარა, რომ ღირსია აწერილ იქმნას შექსპირისა და ან შილერის კალმით!.. ყური მათხოვეთ: გუშინ თელეს ქმარი შინ დაბრუნებულა და უნახავს, რომ იმისი ცოლი ხუთ საყვარელთან არის!

ზოგიერთნი. ღმერთო, რა შერცხვენაა!

ჭორიკანაძე. მოითმინეთ, ეს კიდევ რა არის! გაშმაგებულს კაცს მაშინვე დამბაჩისთვის წამოუვლია ხელი, ყველანი იქვე მოუკლავს და ცოლისთვის-კი ყელი გამოუღადრავს.

ყველანი. ტყუილი იქნება, შეუძლებელია, დაუჯერებელია!

ჭორიკანაძე. პატიოსნებას გეფიცებით! სტოლის დახით დაუკლავს, ჩემის თვალითა ენახე სისხლის ღაბე. რა უკვე დაუჭერიათ და ციხეში ჩაუსვამთ, გაქცევა სცდომია.

ზოგიერთნი. აი ახალი ამბავი, თუ გინდათ?

მეორენი. ახალი ამბავი-კი არა, შერცხვენა, ოჯახის დუმხობა.

ერთი იქ მეორეს. ვინ იცის მერე მართალი-კია.

ჭორიკანაძე. ღმერთს გეფიცებით!.. ხვალე ჰმარხავენ!

(ამ დროს კარში გაიღება და შემოდის თელე თავისის ქმრით).

ყველანი. ახ!.. ბიჭოს... თითქო... განა არა, ეხლა... აი, დასწყევლოს ღმერთმა!.. უი, ქააა!..

(ჭორიკანაძე სადღაც იმალება, აღარა სჩანს).

ალფა

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ოსეთ-ქიშტეთი (კავკავის მაზრა), 12 დეკემბერს. „ივერიის“ მე-245 №-ში ვუამბეთ მკითხველებს, რომ ნასრანელ ქიშტებმა გენერალ პანინს თოფის წამალი ჩაუფლეს თავით იმ განზრახვით, რათა აეფეთქებინათ და მოეკლათო. ისიც ვუამბეთ, რომ ნასრანში მოვაჭრე რამანა კირაკოზოვი მოჰკლეს. აი ეხლა დაწვრილებით ვაცნობებ „ივერიის“ მკითხველებს მიზეზს და ამბავს რამანა კირაკოზოვის სიკვდილისას... გენერალ პანინს რომ წამალი ჩაუფლეს, როგორც ვიცით, პატრუქი გამქრალიყო. მეორე დღეს, რასაკვირველია, იპოვნეს და ამოიღეს ვეებერთელა წამლით სავსე პარკი ჭრელის ჩითისა. ამ საქმისათვის მოვიდა გამომძიებელი, ბოქაული და სხვები. გამოძიება დაიწყო. დაუწყეს იმავ სოფელში ძებნა წამლის პარკისთანა ჩითს და ერთი ქიშტი იპოვნეს, რომელსაც ეცვა თოფის წამლის პარკის ჩითისთანა ჩითის ახალუხი. რამანა კირაკოზოვი, როგორც ფარჩით მოვაჭრე, დაიბარა გამომძიებელმა და ჰკითხა: შენ ფარჩით მოვაჭრე კაცი ხარ, შენ უფრო შეატყობ ეს პარკის ჩითი და ეს ახალუხისა ერთია თუ არა, სწორედა სთქვიო. საბრალო რამანა ორ ცეცხლს შუა ჩაავდეს, — ეთქვა ერთიაო, ქიშტებისა ეშინოდა, რომ არ შეარჩენდნენ და გადაუხდიდნენ მაგიერს, და არ ეთქვა, გამომძიებელი არ ეშვებოდა. რამანა ბევრი ეხვეწა გამომძიებელს და ბოქაულს, გთხოვთ ნუ მკითხავთ მე მაგ საქმეს და ნუ გამრევთ მანდ, თორემ იაფად არ დამიჯდება მართლის თქმაო, მაგრამ გამომძიებელმა უთხრა: სულ ერთია, ეხლა რომ არა სთქვა, ფიცით გკითხავო. ამიტომ უეჭველად მართალი უნდა ეთქვა რამანას და მართლაც საბრალომ სთქვა, რომ წამლის პარკის ჩითი და ქიშტის ახალუხისა ორივე ერთ ნაირიაო... ქიშტები დარწმუნდნენ, რომ რამანა ფიცში რომ ჩავარდება, უფრო სწორეთ, დაწვრილებით იტყვისო; იტყვის იმასაც, რომ ის საახალუხე იმისგნით იყო ნაყიდი და მაშინ ხომ ნამდვილად დამტკიცდება, რომ ჩვენა ვართო ნენ გენერალ პანინის მკვლელობის გამზრახველნი. აი ამიტომ აილეს შური ქიშტებმა და გადასწყვიტეს საბრალო რამანას სიკვდილი, რომ აღარ ემოწმა ფიცით. ქიშტებმა ისე მტკიცედ შეასრულეს თავიანთი განზრახვა, რომ დღისით მოჰკლეს საბრალო რამანა. 30 ლვინობისთვეს ქიშტებმა შუადღის შემდეგ სამს საათზედ გაალებინეს დუქანი რამანას, გადმოალებინეს თურმე ჩითი და აზომინებდნენ ამ დროს ერთმა ერთს მკლავში სტაცა ხელი, მეორემ მეორეში, მესამემ წვერში (რამანა მოსული და ლონიერი ვაჟკაცი იყო), გადმოსწიეს დახლზედ, მოაწვინეს, მეოთხემ ყელში ხანჯალი გაუყარა და დაუტრიალა. ამ დროს დუქნის პატრონის ქიშტის დედაკაცმა თვალი შეასწრო და დედაკაცსაც თურმე მუქარა შეუთვალეს ქიშტებმა იმის ნიშნად, რომ თუ გაგვეცი, გაგწყვეტავთ დედა-ბუდიანადაო. გამბედავმა ქიშტებმა გამოსჭრეს ყელი საბრალო რამანას და გადაახეთქეს დახლში. მერე რამანა დაზგას ქვეშ შედვეს, ზედ ჩითი წააფარეს, თითონ დახლის უჯრა გამოგლიჯეს, ოც-და-ათ თუმნამდე ფული ამოიღეს, თითო ილლია ფარჩები დაიიღლიავეს და გამოცვივდნენ. ქიშტები თურმე ბევრმა დაინახა, რომ ფეხ-აჩქარებით მიდიოდნენ, მაგრამ ვინ რას მოიფიქრებდა, რომ დღე იმ საქმეს ჩაიდენდნენ.

ბ-ნმა იზბაშმა, ნასრანის ფოსტის სადგურის მოიჯარადრემ, და რამანამ იმ დღეს ერთად ისადილეს და ერთმანეთს პირობა მისცეს, რომ, რადგანაც კვირა დღეა, სტანიცა ტროიცკში წავიდეთ და გავისეირნოთო. იზბაშმა ტროიკა შეაბმევინა, ელოდა რამანას, მაგრამ არსად სჩანდა. მერე კაცი გაუგზავნა დუქანში, მაგრამ დუქანიც დაკეტილი იყო. ამ ნაირად რამანა აღარსად იპოვნეს. მეორე დღეს ბ-ნმა იზბაშმა ეჭვი აიღო და კავკავში გაგზავნა კაცი შესატყობრად, თუ რამანა სად არისო. მესამე დღეს იზბაშმა იფიქრა, რომ სწორედ რამანას თავზე რაღაცა უბედურებაო და შეატყობინა ადგილობრივს მოხელეებს. გაალებინა დუქანი, ნახეს, რომ დახლში სისხლის ღვარში მოსვრილი გდია საბრალო რამანა, ყელ-გამოჭრილი და თავ-გატეხილი. მაშინვე დუქანი ისევ მიკეტეს როგორც იყო და აცნობეს ეს ამბავი, ვისაც ჯერ იყო. მალე მოვიდა გამომძიებელი, ბოქაული, დაიწყო გამოძიება და პირველი ეჭვი მიიტანეს დუქნის პატრონზედ, რადგანაც ამას უნდა გაეგო უთუოდ ეს ამბავიო. დუქნის პატრონი ქიშტი მაშინვე დაიჭირეს თავისის დედით. დედაკაცმა სუყველაფერი დაწვრილებით აღიარა, სთქვა ვინც იყვნენ რამანას მკვლელები. ექვსი მკვლელი უკვე დაიჭირეს და ფიცხელი გამოძიება სწარმოებს ამ საქმეზედ...

ქართველი ოსებში

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-259 №-ში დაბეჭდილი იყო ამბავი, რომ ქუთაისის გიმნაზიის დარბაზში ამას წინად შესდგა მოსწავლეთა მშობლების კრება, რომელსაც ჰქონდა ბაასი მოსწავლეთა ხასიათისა და ზნეობის დაცემაზედ. ამ ამბავში მოხსენებული იყო, ვითომ მე ვსთქვი კრებაზე, რომ დაბალ და მაღალ წოდების ყმაწვილები ერთად არ უნდა იზრდებოდნენ და რომ მათის ერთად აღზრდით კარგის ოჯახის ყმაწვილებს არ შეიძლება ხასიათი არ გაუფუჭდეთო.

უეჭველად თქვენი კორრესპონდენტი არა ყოფილა იმ კრებაზედ, მოუწერია თქვენთვის სხვისი ნაამბობი და ამის გამო ჩემი ნათქვამი გადასხვაფერებულად გამოდის.

ჩემს ნათქვამს სიტყვაზედ ბატონმა დირექტორმა თუმცა იმ ნაირი პასუხი გამცა, თითქო მე იმ აზრისა ვყოფილიყავ, რომ ყველა წოდების ყმაწვილები ერთად არ უნდა იზრდებოდნენო, მაგრამ მაშინვე მოვახსენე ბ-ნს დირექტორს, რომ წინააღმდეგი-კი არა, არამედ სრული თანამგრძნობელი ვარ-მეთქი ყველა წოდების ყმაწვილების ერთად აღზრდისა.

მე, რასაკვირველია, ძალიან შევსწუხდი, რომ ბ-ნი დირექტორი, რომლის გიმნაზიაშიაც იზრდება ჩემი სამი ვაჟიშვილი, ასე ცოტად მიცნობს, რომ მომაწერა იმისთანა აზრი, რომლის თანაგრძნობა არასოდეს არ შემეძლო.

ჩემი შენიშვნა ბ-ნ დირექტორთან ზოგიერთ მოსწავლე ყმაწვილების ურიგო ქცევაზედ ის იყო, რომ არაფერი გასაკვირველი არ არის-მეთქი, რომ სადაც ამდენი ყოველივე წოდების ყმაწვილები იზრდებიან, ზოგიერთ ყმაწვილს ის ნაკლულევანება ჰქონდეს, რომელიც თქვენ შეგინიშნავსთ-მეთქი.

რასაკვირველია, მე ის მქონდა მხედველობაში, რომ მეტად ძნელი რამ არის ხუთას-ექვსას ყმაწვილში არა რეულიყვნენ ზოგიერთნი ცუდად აღზრდილნიცა, რადგანაც ყველანი არ არიან კარგ გარემოებაში ჩაყენებულნი კეთილად აღსაზრდელად თუ უპატრონობისა, უზრუნველობისა და თუ უცოდინარობის გამო მათთა მშობელთა და ყურის-მგდებელთა. თითონ ბ-ნ დირექტორმაცა ბძანა იმ კრებაზე, რომ ზოგიერთი მშობლები თავიანთ შვილებს აქეთ-იქით ჰგზავნიან თავიანთ ოჯახის საჭიროებისათვის; ზოგიერთნი მშობელნი საკმაოდ არა ჰზრუნავენ თავიანთ შვილების ჯან-მთელობაზედ და სხვა ამ გვარი. გარდა ამისა მე მქონდა მხედველობაში, რომ ამდენის ყმაწვილის თვალ-ყურის დევნა იმ საშუალებით, რაც აქაურ გიმნაზიას მოეპოვება, თვალ-ყურის დევნა, თუ ვინ როგორ სცხოვრებს, ვის რა გაჭირება და შევიწროება აღგია და ვინ რა მდგომარეობაში იმყოფება, მეტად ძნელი რამ არის. განა გასაკვირველი არ იქნებოდა ეხლანდელს დროში, როდესაც ჩვენ საზოგადოებაში ჯერ ასე ცოტად არის გავრცელებული პედაგოგიური სწავლა, რომ ხუთასექვსას სულიანს დიდს ოჯახში, რომელსაც წარმოგვიდგენს ჩვენი გიმნაზია, რამდენიმე თუნდ ზნეობით მახინჯი ყმაწვილი არა რეულიყო?

აი ეს აზრი გამოვსთქვი მე და არა ის სულელობა, რომ მაღალ-ხარისხოვან ოჯახის შვილები ვითომ სულ ანგელოზები იყვნენ და დაბალ წოდების ოჯახიშვილები-კი სულ ზნეობით გაფუჭებულნი და რომ ამის გამო ესენი არ უნდა სწავლობდნენ ერთად გიმნაზიაში.

---

წამოიძახა გერტრუდამ და გადამეხვია. მსახურმა ჩაიზე მიგვიწვია, მაგრამ გერტრუდამ უარი სთქვა და მეც აღარ გაველი.

— მე ცოტა დავიღალე, მითხრა მცირე ხნის შემდეგ გერტრუდამ, და როგორღაც მეძინება.

— თუ გეძინება, დავიძინოთ. გერტრუდამ დაიწყო ტანისამოსის ხდა. მეც ჩქარა გავიხადე ტანისამოსი და დავწექით. მცირე ხანს ორივენი ჩუმად ვიწექით. უცებ გერტრუდა მომვარდა, მომეხვია და დამიწყო კოცნა.

— ელიზა, თუ პირობას მომცემ, რომ ჩემს ნაამბობს საიდუმლოდ შეინახავ, ჩემს მოგზაურობას გიამბობ.

მეაღვუთქვი ყოველიფრის საიდუმლოდ შენახვა.

— მე დღეს არა ჩვეულებრივი საქმე შემემთხვა. რომ იცოდე რა საქმეა? ერთის მხრივ სასიამოვნოა და მეორეს მხრივ საზარელიც!

— როგორ თუ საზარელი? რას ამბობ, გერტრუდა?

— არა, საზარელი-კი არა, საკვირველი უნდა მეთქვა. ჩემს წასაყვანად ჩამოვიდა ჩემი უფროსი ძმა. მე ვსთხოვე: ერთი კვირა აქ მომიცადე, მე წავალ ჩემს ელიზას ვნახავ და როცა დავბრუნდები, მაშინ წავიდეთ მინ-მეთქი. ჩემი ძმა დამთანხმდა და მეც მაშინადვე აქეთკენ გამოვეშურე. სადგურზე შევნიშნე თქვენი ეტლი, გვერდი ავუქციე და ფეხით ვამჯობინე წამოსვლა... ცოტა რომ გამოვიარე, შევნიშნე ბუჩქებში მშვენიერი მარწყვი. ბევრი არ მიფიქრია, გადაველ გზას და დავუწყე მარწყვს კრეფა. უცებ უკანიდამ შემომესმა: ბილეთი გაქვსთ, რომ სხვის მამულში ჰკრეფთ მარწყვს? მე საშინლად შემეშინდა, წამოვხტი, მინდოდა გაქცევა, მაგრამ, წარმოიდგინე, ის თვალ-წინ მიდგა... გერტრუდამ დამიწყო კოცნა. კოცნით რომ იჯერა გული, ისევ განაგრძო: იდგა ახალგაზდა, ლამაზი, წამოსადეგი კაცი. იმისი მშვენიერი და დიდი შავი თვალები ლმობიერად მიცქეროდა. მე მაშინადვე მივხვდი, რომ რაღაც ბილეთი ტყუილი მიზეზია და სხვა არაფერი.

— პირველსავე შეხედვით მიჰხვდი?

— მაცადე, ელიზა! „მაშ არა გაქვთ ბილეთი? განა არ იცით, რომ პატრონის ნება-დაურთველად ამ ტყეში ხილის დაკრეფა არ შეიძლება?“ განიმეორა და სცდილობდა მრისხანე სახე მიეღო, მაგრამ ვერ ახერხებდა. ახლა-კი შიში ჩამომეცალა და ღიმილით ვუპასუხე: მგონი ხილი ყველასათვის არის... „მაშ თუ მაგრეა, არც მე მაწყენსო, გამაწყვეტინა სიტყვა, და, თუ ნებას მიბოძებთ, თქვენთან ერთად დავკრეფ მარწყვს, ჩემთვის-კი არა, თქვენთვისაო. მე გამეცინა.. მცირე ხანს ჩუმად ვკრეფდით მარწყვს. ბოლოს შევეჩვიეთ ერთმანეთს და გავაბით ლაპარაკი. არ ვიცი, როგორ აგიწერო, ელიზა, თუ რა მხიარულად გავატარეთ დრო. ვინ იცის, იქნება ტყეშივე დამლამებოდა, რომ სალამოს ლოცვის ზარს არ გამოვეფხიზლებინე. მე საჩქაროდ გადმოვედი გზაზე და აჩქარებით გამოვწიე აქეთკენ. ისიც თქვენ ბაღჩამდე მომყვა. გამოთხოვების დროს მკითხა სახელი და გვარი; მთავრის ასული გერტრუდა ბრატესკუ-ვარ მეთქი, ვუთხარ. ის გაიღიმა და მიპასუხა: მე გრაფ კუნო ვიტერხანი გახლავართო. დამიკრა მდაბლად თავი და მომშორდა. მე რაც ძალი და ღონე მქონდა გამოვექანე აქეთკენ. აბა ახლა მითხარ, ელიზა, განა ეს სასიამოვნო შემთხვევა არ არის?

გერტრუდას ნაამბობმა ისე გამიტაცა, რომ პასუხი ველარ მოვახერხე. თითქო გერტრუდაც არ ელოდდა პასუხს, გადაბრუნდა მეორე მხარეს და ნელის ხმით მითხრა: ეხლა-კი ღამე მშვიდობისა, ჩემო საყვარელო. ძილი ნებისა, ჩემო ძვირფასო-მეთქი, ვუპასუხე და გავაქრე სანთელი. სანთელი-კი გავაქრე, მაგრამ მთვარის შუქზე კარგად ვხედავდი, რომ გერტრუდას არ ეძინა. იგი რაღაცას მისჩერებოდა და კმაყოფილად იღიმებოდა. უცებ გადმობრუნდა ისევ ჩემსკენ.

— ელიზა, შენ ხომ გეცოდინება ვინც არის ის კუნო? უეჭველია თქვენი მეზობელია.

— ჩვენს მახლობლად არც ერთი გრაფი არა სცხოვრებს და, სწორედ გითხრა, მაგ გვარის კაცს არავის ვიცნობ.

— იცი, წამოიძახა გერტრუდამ: უეჭველია იგი აქ სადმე ან მეგობართან, ან ნათესავთან სტუმრად არის მოსული. საშინლად ჰგავს დიპლომატს.

— გერტრუდა, მე როგორღაც არა მჯერა ეგ ამბავი... გრაფის ვიტერხანის სახელი მოგონილი უნდა იყოს... უეჭველია ვინმე გაგეხუმრა! გერტრუდამ გადიხარხარა.

— განა როგორ მიცნობ, ელიზა! მე ხომ ისე პატარა აღარა ვარ, რომ ასე მალე მომატყუოს ვინმემ. თექვსმეტი წელი საკმარისია, რომ შესაფერად დადინჯდეს ადამიანი. შენ ხომ იცი, მე გუშინ-წინ შემისრულდა თექვსმეტი წელიწადი. არა, ელიზა, იგი უეჭველია სადმე თქვენს მეზობელთან არის სტუმრად და იმავე მატარებლით მოვიდა, რომელშიაც მე ვიჯექი.

— აღარ აგიხირდები! ხვალ მამაჩემს ვკითხოთ. ყველა გრაფების გვარი კარგად იცის და ბევრსაც იცნობს... მაგრამ ეხლა-კი შევწყვიტოთ ლაპარაკი. ჩვენ ძლიერ ადრე ვდგებით. გერტრუდა გადატრიალდა, რაღაც, მგონი ახალის ნაცნობის, სახელი წაიბუტბუტა და ამოუშო ხვრინვა. მე როგორღაც ძილი გამიფრთხა. ნეტა ვინ გაეხუმრა ასე გესლიანად ჩემს მეგობარს? მე ყველა ჩვენ მეზობელ ახალგაზდებს ვიცნობ, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ არის არც ლამაზი, არც შავ-თვალება.. ან იმათ ამ მუშაობის დროს სადა სცალიანთ ტყეში სიარულისათვის. გერტრუდამ მართალი სთქვა: უეჭველად ის ვილაცაა, ახალი მოსულია. ოხა გერტრუდა, რა თავსახეთქი საქმე გამომიტყვრინე! ამ უცნაურ ამბის გამოცნობაში გართობილს შეუმჩნევლად ჩამძინებოდა.

ი. კაჩელი

(დასასრული იქნება)

ხსენებულ კრებას შემდეგ აქაც, ქუთაისში, ზოგიერთმა ვაქბატონმა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო და რაღაც განგებ განზრახვით დაჰკრეს ბუკი, რომ პავლე თუმანიშვილს ესა-და-ეს უთქვამსო: დაბალ წოდების კაცის შვილები თავადიშვილებთან არ უნდა იზრდებოდნენო, რადგან ჩვენ შვილებს მათის შვილების გავლენით ხასიათი და ზნეობა უფუჭდებაო.

კარგად მოგეხსენებათ, ჩვენს მუდამ აშწვანებულს ბულვარში რა არ ითქმის ხოლმე, მეტადრე იმისთანა კაცზედ, რომელსაც ყველაფერზე ხმის ამოუღებლობა ჩვეულებად არა აქვს.

მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, იმასკი არ მოველოდი, რომ ის, ვინც ჰკისრულობს თქვენის პატივცემულ გაზეთის აქედგან კორრესპონდენტობას, ესე იგი „ივერიის“ ათასიოდე მკითხველთათვის მართალ და სასარგებლო ცნობების შეტყობინებას, ის იკადრებდა და ინებებდა ამისთანა არა-სახუმრო საქმეზედ ახე მსუბუქად ჩემზედ ცილის-წამების მოწერას.

ვინ არის ეხლა, რომელმაც არ იცოდეს, რომ ხასიათისა და ზნეობის დაცემა მარტო დაბალ წოდების ამხანაგი არ არის, რომ ეს ზნეობის დაცემა ძალიან ხშირი სტუმარი ბრძანდება მაღალ ხარისხოვან ოჯახებისაც და დიდის პატივის-ცემითაც არის ხოლმე იქ მიღებული?

ვინ არ იცის, რომ ბევრი და უფრო უმეტესი სახელოვანი და ნიჭიერი კაცები გამოდიან დაბალ-წოდების სახლობიდგან, ვიდრე მდიდრებისა და მაღალ-წოდების ოჯახებიდგან?

სწორედ მეცინება, რომ ამ ანბანურ უცოდინარობას მწამებენ მე ზოგიერთი ჰკვიანები.

საყოველთაო კეთილ-ზნეობითი სწავლა-განათლება ყოველთვის საზოგადო საჭიროებად მიწამებია და მნატრელიცა ვარ, რომ ეს საყოველთაო საჭიროების დაკმაყოფილება მალე სავალდებულოდაც გარდაქცეულიყოს ჩვენს ქვეყანაშიაც.

პავლე თუმანიშვილი

ქუთაისი, 15 დეკემბერი.

## წვრილი ამბები

პროფესორი დოქტორი გრეფე გამოჩენილი თვალის ექიმი იყო და ამასთან კაცობრიობის მეგობარი. ბევრი გადაურჩენია ამ ექიმს სიბრმავისაგან, თვალის სინათლის სამუდამოდ გამოსალმებისაგან ღარიბებს გრეფე მუქთად არჩენდა და, არამც თუ არჩენდა, ხშირად წამლებსა და სათვალეებსაც თავისის ხარჯით უყიდდა ხოლმე.

ბერლინში შორს ადგილიდგან მივიდა ერთი თვალით ავადმყოფი იმ აზრით, რომ გამოჩენილს თვალის ექიმს ვნახავ და რჩევას ვკითხავო. გრეფეზე იყო დამოკიდებული იმისი სიკვდილ-სიცოცხლე. ამ კაცს ერთი თვალი ადრევე გაუფუჭდა, მაგრამ ვერავინ ამჩნევდა, რადგან შუშის თვალი ჰქონდა ჩასმული სამაგიეროდ. სწორედ ამ დროს დაუწყო თურმე ტკივილი მეორე თვალმაც. საბრალო კაცი სასოწარკვეთილებაში იყო, ორის თვალით სიბრმავე მოელოდა და ამასთან ადგილის დაკარგვაც, რადგან პენსია ჯერ არ დაემსახურებინა. მაშინ სრულიად დაემხობოდა ცხოვრება და ცოლ-შვილიანს კაცს შიმშილი მოელოდა. გაეშურა თავის ერთად-ერთ იმედ გრეფესაკენ, მაგრამ იქაც ელდა ეცა: უთხრეს, რომ „გრეფე ავად არის, სიკვდილის პირზეა და ავადმყოფებს აღარა ნახულობსო“.

რა ჰქმნას ახლა? ნუ თუ ამაოდ ჩასულის საიდგან სად ჩამოსვლა?! თვალწინ უდგა საბრალოს სიღარიბე, სიღატაკე და ცოლ-შვილის შიმშილი. საღი თვალი სტკივა და ებლანდება, საცაა სრულიად დაჰკარგავს თვალის სინათლეს. ამიერიდგან ვეღარც ცოლსა ჰნახავს და ვეღარც შვილს! უიმედო მაინც ვიდევ მიდის თვალის ექიმის სახლისაკენ, იქნება ვნახო როგორმე, მოველაპარაკო და მირჩიოს რამეო... ექიმის სახლში სამარისებური დუმილი ჰსუფევს რამდენჯერმე განმეორებულ ზარის წკარუნზე ბოლოს გამოდის მსახური.

— პროფესორი სიკვდილის პირზეა!

მგზავრი ეხვეწება, ემუდარება:

— მოახსენე ექიმს, თორემ იმისი სიკვდილი ჩემიც იქმნება! განა საუკუნო სიბრმავე სიკვდილზე უარესი არ არის? იქნება პროფესორმა დამიხსნას მაგისი ქება მე ბევრი გამიგონია... ეგ კაცი ჭეშმარიტი კეთილის-მყოფელია თურმე კაცობრიობისა.

მსახურს გული დაეწვა, შეჰბრალდა მგზავრი: ტყუილად-კი არ იყო იმისთანა კაცის მოსამსახურე. ნელის ნაბიჯით შევიდა მსახური თავისის ბატონის ოთახში, მიუახლოვდა სარეცელს და ჩურჩულით გადასცა ავადმყოფის თხოვნა.

— შემოუშვი აქა! — ძლივს წარმოსთქვა თურმე გრეფემ.

ერთს წუთს შემდეგ ავადმყოფი გამოჩენილის ექიმის წინ იდგა. გრეფემ ყურადღებით შეჰხედა ავადმყოფს და მიმქრალის, მაგრამ მტკიცე ხმით უთხრა:

— თუ ხსნა გინდათ, შუშის თვალი სულ ერთიანად მოიშორეთ!

ავადმყოფს უნდოდა მადლობა გადაეხადნა, მუხლებში ჩაჰკვარდნოდა, მაგრამ მსახურმა გარეთ გამოიყვანა.

— ნელა, ხმა-კრინტს ნუ დასძრავ: ჩემი ბატონი სულს ამლევსო, უთხრა მან.

მართლაც-და არ გაიარა რამდენმამე წუთმა და გამოჩენილი თვალის ექიმი აღარ იყო ამ ქვეყნად. ამ საოცარმა კაცმა სიკვდილის პირზედაც-კი კიდევ ერთი ცოლ-შვილის პატრონი კაცი გადაარჩინა საუკუნო სიღარიბეს.

## დეპეშა

18 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა ბრძანება, რომ სამხედრო და ფლოტის აფიცრებს ნება ჰქონდეთ რკინის გზით იაფ ფასად აიარონ. ეს ბრძანება შეეხება იმ სამხედრო მკურნალთაც, რომელნიც სამსახურში ითვლებიან სამხედრო ზღვათა უწყებაში.

„Нов. Время“-ს გაუგონია, რომ ფინანსთა მინისტრმა ბრძანება გასცა არ მიეცეთ პასპორტები 1889 წლისთვის უცხო ქვეყნის გემებს ზღვის ნაპირად სიარულისათ. ზღვის ნაპირად სიარულის ნება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომთაო.

ბელგრადი. დღეს დაიწყო კრება დიდის სკუპშჩინასი. პრეზიდენტად ამორჩეულ იქმნა ტაუშაკოვიჩი. კონსტიტუციის ცვლილებათა პროექტი გადაეცა სკუპშჩინის ცალკე კომისიას.

პარიჟი. პალატისა და სენატის მუშაობა შესწყდა. ფლოკეს საზოგადოდ არაფრის ფიქრი არ უნდა ჰქონდეს, რადგან მისი მდგომარეობა ეხლა უზრუნველ-ყოფილია.

19 დეკემბერი

თეირანი. გამოცხადებულია დამატებად სპარსეთის ნოტა გემით სიარულის გამო კარუნის მდინარეში: უცხო ქვეყნების გემებს ნება ეძლევათ ახაგაზაში იდგნენ იმდენს ხანს, რამდენი ხანიც საჭირო იქნება გემის დასატვირთველად და დასაცლელად; ორთქლის გემები იხდიან ბაჟად 7 პენსსა თითოეულს ტონზედ, ხოლო იალქნიანი გემები — ორჯერ ნაკლებს!

ტარრაგონა. ოცდა ათის სადინამიტო პატრონას აფეთქების გამო დაიქცა ორი სახლი, რამდენიმე კაცი დაიჭრა და რამდენიმე მოკვდა.

პეტერბურგის ბირჟა, 16 დეკემბ.

| | მყიდველთა. | | გამყიდველთა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 72 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 154½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 16 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 270½ | |
| —მეორისა . . . . . | | | — | „ | 244 | 62 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | | — | „ | — | „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი — მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

დეკემბერი 31 დღით არის.

20 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. ეგნატესი, რომელიც მე 11 საუკ. ლომებმა გაფათრეს რომის ამფითეატრში. კათოლ. წმ. ლიბერატოსი. სომეხ. წმ. ფეოფემტესი და სხ. მაჰმად. მე-29 რიცხვი თთვისა რებიულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—41. მთვარე 30 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ბ-ნ ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

**პირუტყვების ამბები,**

გამოცემული გ. ტატიშვილის მიერ.

ფასი 25 კაპ. (5—3)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | ,, | 4 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . | „ | 2 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 4 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 1 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 5 |

(column header: მან. კაპ.)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

იაფად გასყიდვა საქონლისა

მხოლოდ ახალ-წლამდე

ცენტრალურს საგალანტერეინო მაღაზიაში

ერევნის მოედანი, სახლი ზუბალოვისა, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეინო საქონელი და ოჯახთათვის საჭირო ნივთები: ლამპრები, ფარნები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ჭურჭელი, სუფრის სამკაული და ნავთით საჭმლის მოსახარშავი, აგრეთვე საცვალი, ფუფეიკები, ჩულქები, ხელსახოცები; სუფრები, სალფეტკები, ფეხთ-საცმელი, შლიაპები, კორსეტები, კასინკები, ქერსეები და სხვანი. ბევრია აგრეთვე ყმაწვილების სათამაშოები, თოჯები და ალბომები. (11—4)




ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნება-დართულია

ფხვნილი

თმისა და ბალნის მოსაცილებლად

(Poudre dépilatoire)

გ. კ. ბრიუნინგისა, მაინის ფრანკფურტში.

ეს თმისა და ბალნის მოსაცილებელი საშუალება მავნე არ არის და სრულიად უვნებელია.

შუშა ჰქირს ბეწვის კალმიანად 2 მან. 50 კაპ., სხვა ქალაქში გაგზავნით 3 მან.

ისყიდება ს.-პეტერბურგს, ალექსანდრე ვენცელთან, ყაზანის ქუჩაზედ. (3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება

გრ. ჩარკვიანის ქართულ წიგნის მაღაზიაში

1889 წ.

**კედლის ქართული კალენდარი**

ფასი ორი აბაზი.


Доз. ценз. Тифлисъ 19-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.